პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 25. 01. 2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

საბა სარიშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები – საერთაშორისოს" დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;
ლიანა ზამბახიძე – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,საბჭოს სხდომის მდივანი;
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს – „საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნინო დარბაიძე - შპს პროფიუნიტის წარმომადგენელი;
ლელა ბიწაძე - შპს პროფიუნიტის წარმომადგენელი;
ალექსანდრე დოღაძე - შპს პროფიუნიტის წარმომადგენელი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):

ქეთევან ჯანელიძე;
ციური დურული.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს „პროფიუნიტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ლევან მადათოვმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრს შუამდგომლობა არ ჰქონდა.

1. შპს „პროფიუნიტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ჯანელიძემ, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

დაწესებულება ახორციელებს ოთხ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას: სამთო ელექტრო მექანიკოსის მესამე, ელმავლის მემანქანის მესამე და გვირაბგამყვანის მესამე და მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამებს. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული იყო პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია.

კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი შპს „ჯორჯიან მანგანეზთან“ პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამა დამტკიცებული იყო კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

საბჭოს წევრი საბა სარიშვილი დაინტერესდა, როგორი იყო სპეციალისტებზე მოთხოვნა დასაქმების ბაზარზე და შპს „ჯორჯიან მანგანეზთან გაფორმებული ხელშეკრულება რა ვადით იყო გაფორმებული.

დაწესებულების განმარტებით ხელშეკრულება კონკრეტული ვადით არ ყოფილა გაფორმებული და სანამ რომელიმე მხარე თანამშრომლობაზე უარს არ იტყოდა იქამდე ძალაში იქნებოდა. კურსდამთავრებულების 80% დასაქმებული იყო სპეციალობით. პროგრამები ბაზრის მოთხოვნების მიხედვით იყო შერჩეული. დაწესებულების წარმომადგენელმა მაგალითად მოიყვანა ბუღალტრის პროგრამა, მომელზეც მხოლოდ 13 პროფესიული სტუდენტი დარეგისტრირდა, შემდეგ პროგრამაზე სწავლის მსურველების არ ყოფნის გამო დაიხურა. ასევე, ვერ ამოქმედდა მეტალურგიის პროგრამა რომელზეც მხოლოდ ერთი მსურველი გამოჩნდა.

ექსპერტმა ციური დურულმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელსაც დაწესებულება ახორციელებდა ბაზარზე ორიენტირებული და ძალზედ მოთხოვნადი იყო არა მხოლოდ შპს „ჯორჯიან მანგანეზსში“, არამედ რეგიონში არსებული მადნის მომპოვებელ 20-მდე კოოპერატივში.

საბჭო წევრები დაინტერესდნენ კოლეჯში სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით კოლეჯში 118 პროფესიული სტუდენტი ირიცხებოდა.

საბჭოს წევრი ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა შრომის უსაფრთხოება თუ ისწავლებოდა პროგრამებზე. მისი თქმით საწარმოებში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის თვალსაზრისით მიზერული თანხები იხარჯებოდა. მათ უნდა ესწავლებინათ, რომ თუ

შრომის უსაფრთხოების ნორმები არ იქნებოდა დაცული საწარმოში, შეეძლოთ სამუშაოს შესრულებაზე უარი ეთქვათ და ამისთვის მათი სამსახურიდან გათავისუფლების უფლება დამსაქმებელს არ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული დისციპლინები ისწავლებოდა.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომელიც ახორციელებდა ანალოგიურ პროგრამას.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მათი სტუდენტები მობილობით სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვერ გადავიდოდნენ, რადგან უნივერსიტეტი იყო სახელმწიფო დაწესებულება და სტუდენტებს მხოლოდ ეროვნული პროფესიული გამოცდების ჩაბარების შედეგად რიცხავდა, შპს პროფიუნიტი კი კერძო დაწესებულება იყო და მათ არ მოეთხოვებოდათ ეროვნული გამოცდის ჩაბარება. შესაბამისად, შპს პროფიუნიტს უნდა აეღო პასუხისმგებლობა, რომ საკუთარ სტუდენტებს აუცილებლად დაამთავრებინებდა პროგრამაზე სწავლას. დაწესებულების წარმომადგენლებისა და ექსპერტების თქმით სწორედ ასეთი წესი ჰქონდა შემუშავებული დაწესებულებას.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

კოლეჯის საკუთრებაში იყო ქ. ჭიათურაში, თხელიძის ქ. N29-ში მდებარე 3598 კვ.მ შენობა ნაგებობა, აქედან სასწავლო ფართი 741 კვ.მ აღჭურვილი იყო კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, სამთო ტექნოლოგიებისა და გეოლოგიის სასწავლო კაბინეტებით, სამთო ელექტრომექანიკის ლაბორატორიით, კომპიუტერების კლასით და ა.შ.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების გარკვეული ნაწილი იყო ათეული წლების წინანდელი გამოცემები. თუმცა, სასწავლო კურსების წამყვან პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული ლიტერატურა შინაარსობრივად არ იყო მოძველებული, მაწავლებლები სისტემატურად ეცნობოდნენ დარგის უახლეს უცხოენოვან გამოცემებს და სწავლებისას იყენებდნენ მათ თარგმანებს, რითაც ავსებდნენ სავალდებულო ლიტერატურას სიახლეებით. წიგნადი ფონდის შესყიდვის აქტებით გამოჩნდა, რომ დაწესებულება იძენდა დარგობრივ უახლეს გამოცემებს. მაგრამ, რადგან იშვიათად იბეჭდებოდა ახალი დარგობრივი სპეციფიკის სახელმძღვანელოები, ადმინისტრაციათან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს მათ მზადყოფნა გამოთქვეს საზოგადოებრივი კოლეჯის მასწავლებლებმა იმუშაონ უცხოენოვანი უახლესი ლიტერატურის თარგმნაზე.

ექსპერტთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე სავარაუდოდ შშშმ სტუდენტი არ მივიდოდა, დაწესებულება აღჭურვილი იყო პანდუსებითა და ადაპტირებული სველი წერტილებით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა მოითხოვეს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 200-ით. რასაც ექსპერტებიც დაეთანხმნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფიუნიტისთვის ავტორიზაციის მინიჭების და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 სტუდენტით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს პროფიუნიტს (ს/კ: 204436985) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

დღის წერიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დახურულად გამოცხადაა 16:20 საათზე.

თავმჯდომარე
საბა სარიშვილი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე